

# ახალქალაქის მუნიციპალიტეტი



საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა

(CPV – 30100000)

## გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ახალქალაქი

2016 წ.

## 1. ტექნიკური დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) შემდეგი ტექნიკური დოკუმენტაცია:

ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი (ხარჯთაღრიცხვა) დანართი №2-ის მიხედვით;

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

ა) ანგარიშსწორება განხორციელდება გაფორმებული მიღება - ჩაბარების აქტისა წარდგენის საფუძველზე. ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან **10 სამუშაო დღის განმავლობაში**. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

ბ) შესყიდვის მიწოდების სავარაუდო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან **20 დღე**.

გ) ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით;

დ) წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება;

ე) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;

ვ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

### 1.3 სატენდერო წინადადების ფასი:

ა) სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილ უნდა იყოს დანართი #2-ის მიხედვით;

ბ) ფასებში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

### 1.4 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ მოითხოვება.

## 2. ანგარიშსწორების პირობები

ა) სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

ბ) ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

გ) ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **10 სამუშაო დღის განმავლობაში**.

დ) წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება

## 3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 % პროცენტის ოდენობით.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 4. ფასების ცხრილი:

ა) ფასების ცხრილი წარმოდგენილ უნდა იყოს დანართი №2-ის მიხედვით;

ბ) ფასებში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

## 5. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

5.1 **დაფინანსების წყაროა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.**

5.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობრივი ნუსხა.

5.3 საკანცელარიო საქონელი უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის, **მიწოდებული ვალდებულია წარმოადგინოს საქონლის ნიმუშები შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერამდე.**

5.4 საქონელის მიწოდების ვადაა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში**

#	კოდი	საქონლის დასახელება	განხ. ერთეული	რაოდენობა
1	30197320	სტეპლერები 24/6	ც	50,0
2	30197320	სტეპლერები 10	ც	35,0
3	30197210	რგოლებიანი სწრაფჩამკერები	ც	154,0
4	30199230	კონვერტები A-4 , A-4/2, A-4/3, A-3 ფორმატი	ც	333,0
5	30199720	ქაღალდი შენიშვნებისათვის, ჩასანიშნი წებოვანი ზომა: 75*75 მმ (ფერადი / 100ფურც)	შეკვრა	354,0
6	30192133	ფანქრის სათლელები, რკინის	ც	40,0
7	30192130	ფანქრები, ხის ბაზაზე, გრაფიტის გულით, HB სიმკვრივის, საშლელით	ც	445,0
8	30192130	ფერადი ფანქარი	კოლოფი	4,0
9	30141200	მაგიდის კალკულატორები, 12 თანრიგის ეკრანით, დიდი, 12 DIGITS, 200X150მმ	ც	40,0
10	30192160	კორექტორები, ფუნჯიანი/ბურთულიანი	ც	45,0
11	30124400	სტეპლერის ტყვიები, #10, #24/6 - #24/8	კოლოფი	166,0
12	30192121	ბურთულიანი კალმები (კალამი საწერი) ბურთულიანი კალამი (ლურჯი/შავი/წითელი), პლასმასის კორპუსით, თავსახურით	ც	1890,0
13	30192121	ბურთულიანი კალმები(კალამი საწერი)(გელიანი) ლურჯი და შავი	ც	127,0
14	30192121	ბურთულიანი კალმები (კალამი საწერი) ხარისხიანი-სასაჩუქრე, ზგავსი იხელეთ სურათი 1	ც	4,0
15	30192000	საკანცელარიო ნივთები(სახაზავები) რკინის	ც	62,0
16	30192000	საკანცელარიო ნივთები (სკოჩი-პატარა-100, დიდი-100)	ც	80,0
17	30192000	საკანცელარიო ნივთები (წებო) საკანცელარიო და ემულსიის	ც	22,0
18	30197220	ქაღალდის სკრეპები (კლიპი) სხვადასხვა ზომის	კოლოფი	200,0
19	30192100	საშლელები	ც	100,0
20	30190000	სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთები (საოფისე ურნები)	ც	3,0
21	30192000	საკანცელარიო ნივთები (ნაბორი) დიდი, ზგავსი იხელეთ სურათი 2	ც	22,0
22	30197220	ქაღალდის სკრეპები (უბრალო, სხვადასხვა ზომების)	კოლოფი	63,0
23	30192125	მარკერები (მარკერი CD/DVD)	კოლოფი	17,0
24	30192124	ფლომასტერები-სხვადასხვა ფერების ტექსტის აღვნიშნელი, სისქით 0,5 მმ,	კოლოფი	17,0
25	30199792	კალენდრები (მაგიდის კალენდარი)	ც	100,0
26	30125100	ტონერიანი კარტრიჯები-პრინტერი -HP Laserjet 1010	ც	4
27	30125100	ტონერიანი კარტრიჯები-პრინტერი -HP Laserjet 1022	ც	5
28	30125100	ტონერიანი კარტრიჯები-პრინტერი -Canon i-SENSYS MF3010	ც	73
29	30125100	ტონერიანი კარტრიჯები-პრინტერი -Hp Laserjet p1005	ც	15
30	30125100	ტონერიანი კარტრიჯები-პრინტერი -Hp Laserjet lpb 6000	ც	9
31	30125100	ტონერიანი კარტრიჯები-პრინტერი -Hp 1536	ც	4
32	30125100	ტონერიანი კარტრიჯები-პრინტერი -Canon MF4410	ც	4
33	30125100	ტონერიანი კარტრიჯები-პრინტერი -HP M1132 MFP	ც	4
34	30125100	ტონერიანი კარტრიჯები-პრინტერი -HP 1536 dnf MFP	ც	5
35	30125110	ტონერები-პრინტერი -Pantum M6500NW	ც	20

სურათი 1



სურათი 2



**6. მიწოდების პირობები და ვადები:**

6.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) დღეში, მიწოდების ადგილია: ქ ახალქალაქი. ჩარენცის ქ. №11.

**7. დამატებითი ინფორმაცია:**

7.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში: ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ. #11, მე-2 სართული. საკონტაქტო პირი: როზა იორდანიან, ხაჩატურ სრაპიან ტელ: +995 362 22-30-41, E-mail: [akhalkalakitenderi@yahoo.com](mailto:akhalkalakitenderi@yahoo.com)

**8. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი**

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება**

*ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულპრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.*

ქ. ახალქალაქი

„-----“ ----- 2017 წ.

ერთის მხრივ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი ედუარდ ალასარიანის სახით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი, (შემდგომში `შემსყიდველი`) და მეორეს მხრივ -----, წარმოდგენილი დირექტორის ----- სახით, (შემდგომში `მიმწოდებელი`) შორის. იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა (CPV-30100000) - „საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა“ შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA-----), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოები შემდეგ თანხაზე: ----- (-----) ლარი. (შემდგომში “ხელშეკრულების ღირებულება”).

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**2. სტანდარტები**



2.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

### 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ დავალებაში ასახული შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს: \_\_\_\_\_

### 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან **20(ოცი) დღის განმავლობაში**.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული პერიოდულობით (ვადებში) შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ვადებში სათანადო ცვლილებები.

4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ. #11 გამგეობის ადმინისტრაციული შენობა**.

4.4 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.4 შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო დადებითი.

### 6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა მიწოდებული შესყიდვის ობიექტის საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას 1 (ერთი) წლით.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

6.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

### 7. ანგარიშსწორება

7.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.3 ანგარიშსწორება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდგომ ყოველთვიურად, მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **10 (ათი) საბანკო დღეში**.

7.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

### 8. ანგარიშსწორების ვალუტა

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

## 9. ფასები

9.1 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული შესყიდვის ობიექტის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ცვლილება არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,3 %-ის ოდენობით, ან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით შემსყიდველის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 %-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

გ) პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

## 15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 18. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

18.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება ხელზე ან საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 19. გადასახადები და ბაჟები

19.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელის გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

20.1 ხელშეკრულება ძალაშია: ხელმოწერის დღიდან \_\_\_\_\_

**21. სხვა პირობები**

- 21.1 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 21.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან.
- 21.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 21.5. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს
- 21.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა	-----
ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ., № 11	-----
საიდენტ. კოდი 223366122	საიდენტიფიკაციო კოდი
ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“	-----
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: -----
ა/ა GE24NB0330100200165022	ანგარიშის ნომერი: -----
გამგებელი	დირექტორი
_____/ე. აღასარიან/	_____/-----/

**9. რეკვიზიტები**

დანართი № 1

**რეკვიზიტები:**

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: \_\_\_\_\_
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი: \_\_\_\_\_
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: \_\_\_\_\_
- საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: \_\_\_\_\_
- ელექტრონული მისამართი: \_\_\_\_\_
- ბანკის კოდი: \_\_\_\_\_
- ანგარიშსწორების ანგარიში: \_\_\_\_\_
- ანგარიშის ნომერი: \_\_\_\_\_

პრეტენდენტის ხელმოწერა \_\_\_\_\_